ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის ნოემბრის 15	№ 24 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 181. საგარეთუბნო ზონაში დამზაებათა აღდგენის შესახებ.
182. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საკონიუნქტურო საბჭოს შესახებ.
183. „ა/კსფსრ-ში ხანძრისაგან ტყეების დაცვის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.
184. ოთხფეხი საქონლის და მეცხოველეობის პროდუქციის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

185. ქალ. ბაქოსა და ტფილისში სპეციალისტთა სახლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.
186. კვების პროდუქტებით საქართველოს სსრ კურორტების მომარაგების შესახებ.
187. „საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.
188. 1932 წლის მე-III კვარტალში ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის და „ა/კ. ვაჭრობის“ სისტემის ხაზით საქონელბრუნვისა და საქონლის ნაშთების გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.
189. სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს ხაზით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

181. საგარეთუბნო ზონაში დამზადებათა აღდგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს:

1. გააუქმონ დადგენილებანი, რომლებითაც საგარეთუბნო ზონები განთავისუფლებულ არიან კარტოფილისა, ბოსტნეულისა, ხორცისა, ოთხფეხი საქონლისა, კარაქისა, კვერცხისა, ფრინველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცენტრალიზებული დამზადებისაგან.

2. ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ქალაქების გვერდით მდებარე რაიონებში.

3. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ერთი დეკადის ვადაზე:

ა) შეადგინონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმები.

ბ) უზრუნველჰყონ ამ გეგმების სასწრაფო მიწოდება რაიონებისათვის;

გ) დაავალონ დამზადებელ ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ დამზადების აქტიურად გაშლის საქმეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაგერდოვი.**

1932 წ. სექტემბრის 13.
№ 495.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

182. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საკონიუნქტურო საბჭოს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საკონიუნქტურო საბჭო გაუქმებულ იქნეს (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-12 №-რი, მუხ. 103).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—მიიწვიოს ხოლმე სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახები კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური ანგარიშების განხილვისათვის ყველა დაინტერესებული სახალხო კომისარიატისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. სექტემბრის 15.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

183. „აკსფსრ-ში ხანძარისაგან ტყეების დაცვის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 1-ლის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც შეცვლილია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 14-ის დადგენილება „ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 61 №-ი, მუხ. 356),—1—3 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ-ში ხანძრისაგან ტყეების დაცვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 159) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. ხანძრისაგან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების დაცვის ხელმძღვანელობა და ამ ტყეებში სახანძარო ღონისძიებათა განხორციელებისათვის კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლის გაწევა ეკისრება სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან.

ხანძარისაგან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვა რეგულირდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

2. ხანძარისაგან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა უშუალოდ განხორციელება ეკისრება სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (ა/კსფსრ სკს-თან), გზათა სახალხო კომისარიატის ა/კ. სატყეო სამმართველოს და რესპუბლიკანური საკურორტო სამმართველოების ქვემდებარე სატყეო ტრესტებს, სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, სატყეო მეურნეობებს და სატყეო-სატრანსპორტო მეურნეობებს.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი გაითვალისწინება სათანადო ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ა/კსფსრ სკს-თან) დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. ხანძარისაგან ტყეების დაცვისათვის განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელება შეიძლება დაეკისროს აგრეთვე სხვა ტყისმოსარგებლეთ და ტყის დამმზადებელთ მათთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად:

ა) ტყის დამზადებისა, დღლუფისისათვის გასხეპისა, ტყის ნაყოფის და თესლეულის მოგროვებისა, საქონლის ძოვებისა და სხვა მისთ. მიზნით დროებითი სარგებლობისათვის ტყის ნაკვეთების გადაცემის შემთხვევაში;

ბ) ტყის ადგილობრივ მოჭრისა და გამოტანის ნებადართვის შემთხვევაში;

გ) დადგენილ ვადაზე გაკაფილი ტყის ადგილების გასუფთავების შემთხვევაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. სექტემბრის 15.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

184. ოთხფეხი საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

არსებული ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა და მოძრაობის თაობაზე ცნობების სისტემატიურად მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გამოან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიშების მიზნით, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების შესახები პარტიისა და მთავრობის დადგენილებების აღსრულებისათვის კონტროლის გასაწევად— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „ოთხფეხი საქონლის და მეცხოველეობის პროდუქციის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 11-ის დადგენილების შესაბამისად, ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს და სხვა ორგანიზაციებს და უწყებებს, რომელთაც მეცხოველეობის მეურნეობანი აქვთ, მოაწყონ მეცხოველეობის ხაზით ყოველთვიური ანგარიშგება სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ფორმების მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ.

2. წინადადება მიეცეს ყველა ზემოაღნიშნულ უწყებას და ორგანიზაციას— უზრუნველჰყოს, რათა ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს თავის დროზე წარედგინოს ტრესტებისა, შენაერთებისა და საკოლმეურნეო ცენტრების საანგარიშო ცნობები ოთხფეხი საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობის შესახებ.

3. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს— მოაწყოს, საწარმოთა მიერ თავიანთი ცენტრებისათვის წარდგენილი თვიური ანგარიშგების საფუძველზე, ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა, ოთხფეხი საქონლის ბრუნვის (გაწყდომა, ნამატი, დაკვლა და სხვ.) ძირითადი ცნობებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის სისტემატიური ყოველთვიური აღრიცხვა.

4. ცნობების სისრულისა და აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის შესახები ცნობების კონტროლის უზრუნველსაყოფად დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწყოს თავისი რესპუბლიკანური ორგანოების უშუალო სარაიონო სააღრიცხვო აპარატის მეშვეობით მეცხოველეობის პროდუქციის შესახები კვარტალური ანგარიშგების მიღება ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი სამეცხოველეო საწარმოსა და კოლექტიური მეურნეობის სასაქონლო ფერმისაგან. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს—საწარმოთა მეცხოველეობის პროდუქციის შესახები კვარტალური ანგარიშგება წარუდგინონ ხოლმე სათანადო სამეურნეო ორგანოს—ტრესტს, შენაერთს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

5. უფლება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს—დაადონ ჯარიმა 150 მანეთამდე იმ საწარმოთ, რომელნიც არ წარადგენენ ვადაზე არსებული ოთხფეხი საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობის თაობაზე ყოველთვიურ და კვარტალურ ცნობებს.

6. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს ყოველ წელს იანვრის 1-თვის, სარაიონო და სასოფლო საბჭოების აპარატების მეშვეობით, ინდივიდუალურ მეურნეობებსა და კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი ოთხფეხი საქონლის აღრიცხვა.

7. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს აწარმოოს წელიწადის განმავლობაში ერთხელ მეცხოველეობის პროდუქციის გამორკვევა მთლიანად ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. სექტემბის 15.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

185. ქალ. ბაქოსა და ტფილისში სპეციალისტთა სახლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ნოვიკოვის მოხსენება და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რაჰიმოვის და „ზაკმბიტ"-ის თავმჯდომარის ამხ. სისოევის თანამოხსენება ქ. ბაქოსა და ტფილისში—სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ. მარტის 25-ის გადაწყვეტილების თანახმად—სპეციალისტთა სახლების მშენებლობის მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს შეუწყნარებელი მძიმე ტემპები როგორც ქ. ბაქოს, ისე ქალ. ტფილისის სპეციალისტთა სახლების მშენებლობაში (სწარმოებს მხოლოდ სამომზადებლო სამუშაოები და საშენებლებზე მუშაობს 30—40 მუშა).

2. ვინაიდან სრულიად არადამაკმაყოფილებელია აღნიშნულ მშენებლობათა მომარაგება ადგილობრივი საშენი მასალით, წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალონ ბაქოს საქალაქო საბჭოს და ტფილისის საქალაქო საბჭოს—

უზრუნველჰყონ სპეციალისტთა სახლების მშენებლობა პირველ რიგში ადგილობრივი საშენი მასალით.

3. ეცნობოს სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სპეციალისტთა სახლების მშენებლობის ხელისშემწყობ ცენტრალურ კომისიას, რომ ნელი ტემპით იგზავნება ფონდირებული საშენი მასალა ბაქოსა და ტფილისში, რაც მშენებლობას ჩაშლის საფრთხეში აყენებს.

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ, რამდენად დანიშნულებისამებრ იყენება სპეციალისტთა სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი საშენი მასალის ფონდები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—გამოჰყონ ტფილისსა და ბაქოში სპეციალისტთა სახლების მშენებლობის ხელისშემწყობი კომისიები და იმავე დროს იხმარონ ღონისძიებანი საშენებლებზე სამუშაოთა მსვლელობის დაჩქარებისათვის.

6. დაევალოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ღლონტს)—იკისროს განსაკუთრებული მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა სპეციალისტთა სახლების მშენებლობის საქმეზე გადადებული ფონდების რეალიზაციისა და საშენი მასალის პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

7. მიექცეს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს საინჟენერო საზოგადოებრიობის უფრო აქტიური მონაწილეობა სპეციალისტთა სახლების მშენებლობაში „ვამბიტ"-ის რესპუბლიკანური ორგანიზაციების მეშვეობით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1933 წ. სექტემბრის 21.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

186. კვების პროდუქტებით საქართველოს სსრ კურორტების მომარაგების შესახებ.

მოისმინა-რა „საქკურორტმომარაგების“ და ა/კ. მთავარი სოციალური დაზღვევის სამმართველოს ცნობა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის იმ ბრიგადების მასალა, რომელთაც გამოიკვლიეს 1932 წლის გაზაფხულის სეზონში კვების პრდუქტებით საქართველოს კურორტების მომარაგების საქმის მდგომარეობა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს კურორტების მომარაგება კვების პროდუქტებით 1932 წლის ზაფხულის სეზონში დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად.

ამის მიზეზია:

1. გამოყოფილი ცენტრალიზებული მომარაგების ფონდების განწესების არასრული და არათავისდროული აღსრულება (შაქარი ივლისისა, აგვისტოს და სექტემბრისათვის, ნაცვლად გამოყოფილი 49 ტონნასი, მიღებულია 31 ტონანს რაოდენობით, კარაქი ამავე დროისთვის, 39 ტონნას ნაცვლად, მიღებულია 14 ტონნას რაოდენობით).

2. კურორტების მომარაგების წესის დაგვიანებული რეორგანიზაცია, სპეციალური ორგანიზაციის ფუნქციების „კურორტმომარაგებისათვის“ გადაცემით (ივლისის ნახევარში), და სოციალური დაზღვევისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მაისის 28-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 8-ის დადგენილების შეუსრულებლობა—„კურორტმომარაგების“ მოწყობისა და კურორტების დაუცადებელი მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ, „კურორტმომარაგებისათვის“ ფულადი სახსარისა, ტრანსპორტისა, სასაწყობო სათავსებისა და მომუშავეთა კადრების გადაცემით.

3. „კურორტმომარაგების“ ორგანიზაციის მოუქნელობა მისთვის დაკისრებული ფუნქციების აღსრულების საქმეში.

4. „კურორტმომარაგების“ ორგანოებისა და საკურორტო დაწესებულებების მიერ არაცენტრალიზებული მომარაგების პროდუქტების თვითდამზადების საქმის მოუგვარებლობა და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მიერ კურორტების ხელისმწყობი მეურნეობის განვითარების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობა.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ეცნობოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას, რომ კურორტების ცენტრალიზებული მომარაგების პროდუქტები არანორმალურად იგზავნება და რომ, აგრეთვე, ურთიერთობა სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატსა და სსრკ-ის „კურორტმომარაგებას“ შორის მოუგვარებელია, რაც იწვევს ადგილებზე კურორტთა მომარაგების ჩაშლას.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—ვამოაშკარაოს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მაისის 28-ის დადგენილების აღსრულებლობის კონკრეტული დამნაშავენი და თვით უშუალოდ დაადოს მათ გადასახდელი.

3. ოქტომბრის ბოლოს მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება კურორტების მიერ კვების პროდუქტების ფაქტიურად მიღებისა და ამ პროდუქტების წესიერად გამოყენების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. სექტემბრის 21.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

187. „საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის აგვისტოს 4-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის წარმომადგენელთა ამხ. ვანციანის და ამხ. ბარხუდაროვის ცნობა „საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის თაობაზე, რა ცნობაც დამყარებულია ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის ბრიგადების მიერ შემდეგი რაიონების გამოკვლევის მასალაზე: სომხეთის სსრ-ში—ალავერდის, სტეფანავანის, ყარაქლისის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იჯევანის რაიონებისა, აზერბაიჯანის სსრ-ში—აღდამის და ქურდამირის რაიონებისა და საქართველოს სსრ-ში—გორისა და ბორჩალოს რაიონებისა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს ⁄ სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ ფართო მასსური აღსნა-განმარტებითი მუშაობა „საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართთა საბჭოს დადგენილებების რეალიზაციის გარშემო და არ მიუღწევინებიათ ეს დადგენილებანი კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეების ფართო მასსებამდე; ამის შედეგია ის, რომ გამოკვლეულ რაიონებში გამოაშკარავებულ იქნა შემდეგი ნაკლოვანებანი:

ა) პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელისშეწყობის ნაცვლად, კოლექტიური მეურნეობების სავაჭრო წერტილები აწარმოებენ კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეების პროდუქციის შესყიდვას და გარდაყიდვას მოგების მიზნით (ქურდამირისა, ბორჩალოს და იჯევანის რაიონები);

ბ) ვაჭრობით მიღებული სახსარი ნაწილდება არა შრომა-დღეების მიხედვით, არამედ მხოლოდ „გაჭირებულთა“ შორის; ეს სახსარი ნაწილდება არათავის დროზე და აგრეთვე იხარჯება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ (თელავისა, გურჯაანისა, ბორჩალოს, გორისა, იჯევანის ⁄ ქურდამირის რაიონები);

გ) კოლექტიური მეურნეობანი აწარმოებენ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებს „(საქმთიელთან“ ერწო-თიანეთის რაიონში და მუშათა დახურულ კოოპერატივთან ყარაქლისის რაიონში);

დ) მთელ რიგ გამოკვლეულ რაიონებში სრულიად აღსრულებული არ არის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება კოლექტიური მეურნეობის საკუთარი საწარმოო ბაზისის გაფართოების შესახებ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის (ქურდამირისა, აღდამისა,ალავერდისა, თაუზისა, ყარაქლისისა და ბორჩალოს რაიონები);

ე) აღსრულებული არ არის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივა სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებსა და დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის სპეციალური მომუშავეების გამოყოფის შესახებ (ყველა რაიონი).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ-ისა, აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებათან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ „საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების აღსრულება სათანადო რესპუბლიკაში და მასალა წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ა/წ. ნოემბრის 1-თვის.

ამასთან ერთად დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—გამოაშკარაონ დამატებით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების აღსრულებლობის კონკრეტული დამნაშავენი ბრიგადების მიერ გამოკვლეულ ზემოაღნიშნულ 8 რაიონში.

2. აღნიშნოს შემხვედრი ვაჭრობის მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია (ბორჩალოს, გორის, ალავერდის, სტეფანაკერტის, ყარაქლისის, იჯევანის, ქურდამირის და ალდამის რაიონებში) და წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს ტ „ა/კ. ვაჭრობა"-ს—დაუყოვნებლივ გააუმჯობესონ შემხვედრი ვაჭრობის ორგანიზაცია.

ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფართო მოხმარების საგნების დამზადებას.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებს:

ა) შეუდგნენ ორი დეკადის ვადაზე საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის მომუშავეების მომმზადებელი კურსების მოწყობას და თანაც იხმარონ ღონისძიება საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ ადვილად მისაწვდომი ბროშურებისა და აგრეთვე პლაკატების და ლოზუნგების გამოსაცემად;

ბ) დაევალოს ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებს—იხმარონ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახად ზამთრის საცავების მოწყობისათვის დაუცადებელი ვაჭრობის მიზნით.

4. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა უნდა მისცენ ადგილებს ზედმიწევნითი დირექტივები ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისათვის მიწოდებული კრედიტების გამოყენების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. სექტემბრის 21.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

188. 1932 წლის მე-III კვარტალში ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის და „ა/კ. ვაჭრობის“ სისტემის ხაზით საქონელბრუნვისა და საქონლის ნაშთების გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის თავმჯდომარის ამხ. ბუკრეევისა და „ა/კ. ვაჭრობის“ მმართველის ამხ. ლაზარევის მოხსენებანი და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის—ამხ. შახსუვარიანისა და „ა/კ. სახბანკისა“—ამხ. ლაქტიონოვის თანამოხსენებანი—1932 წ. მე-III კვარტალში საქონელბრუნვისა და საქონლის ნაშთების თაობაზე გამოცემული მთავრობის და პარტიის დადგენილების რეალიზაციის მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის სისტემის მუშაობას მე-III კვარტალში საქონელბრუნვის გეგმის აღსრულებისათვის დაეტყო განსაზღვრული ძვრა გეგმის შესრულებისა და საქონელბრუნვის ზრდის ხაზით, ამ პერიოდში საგეგმო ფონდების სოფლად წარგზავნის საქმის ძირითადად გაუმჯობესების გამო (საკვარტალო გეგმის 93,06%-ი) და აგრეთვე იმის გამო, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურმა კავშირებმა გააძლიერეს ყურადღება საქონელბრუნვის გეგმისადმი. მაინც ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ნაშთების მოძრაობისა და ქსელის გაშლის ანგარიშგება.

2. აღინიშნოს, რომ თუმცა მე-III კვარტალის საქონლის ნაშთების ღირებულება რამოდენადმე შემცირებულია მე-II კვარტალთან შედარებით, მაინც ხდება საქონლის ნაშთების დადგენილი ლიმიტების სისტემატიური გადამეტება, განსაკუთრებით „ცეკავშირში“ (ამ უკანასკნელს 1932 წლის სექტემბრის 1-თვის აქვს 21,4 მილ. მან., წინაალმდეგ 14,2 მილ. მან. ლიმიტისა), რაც იმის შედეგია, რომ ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა (ამხ. ბუკრეევმა) არ იხმარა კონკრეტული მტკიცე ღონისძიებანი ადგილებზე გაუყიდლად დარჩენილი ნაკლებ-გასავლიანი საქონლის სალიკვიდაციოდ.

3. „ა/კ. ვაჭრობის“ (მმართველი ამხ. ლაზარევი) ხაზით აშკარა არადამაკმაყოფილებელია საქონელბრუნვის მე-III კვარტალის გეგმის აღსრულება; თანაც ბრუნვის თანხა საგრძნობლად შემცირდა (63,4 მილ. მან., წინაალმდეგ გეგმით გათვალისწინებული 101 მილიონისა, რაც შეადგენს 63%-ს), რაც იმიტომ მოხდა, რომ, მრეწველობის მიერ 16 მილ. მანეთის საქონლის (მე-III კვარტ.) მიუწოდებლობასთან ერთად, „ა/კ. ვაჭრობამ“ არ იხმარა ღონისძიებანი თვითდამზადებისა და შესყიდვისათვის ორგანიზებული მუშაობის მოსაწყობად და რომ თვით ამისთანა კონიუნქტურის პირობებში „ა/კ. ვაჭრობამ“ გადააჭარბა საქონლის ნაშთების ლიმიტები 10%-ით ა/წ. ოქტომბრის 1-თვის.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამხ. ბუკრეევს—იხმაროს ღონისძიებანი ნაკლებგასავლიანი და ძნელად სარიალიზებელი საქონლის რეალიზაციისათვის ამ საქონლის რაიონიდან რაიონში გადაგზავნით; აწარმოოს ამ საქონლის რეალიზაცია ბაზრებზე მით, რომ ზოგიერთი საქონელი სარაიონო ცენტრებიდან გადაგზავნოს ცენტრალურ ქალაქებში; ამასთანავე, უკეთუ საჭირო იქნება, გადასინჯოს ფასები შემცირების მიზნით, რათა ეს საქონელი სასწრაფოდ იქნეს რეალიზებული.

2. ნოემბრის 1-სთვის აცნობოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მიღებული ღონისძიებანი და მათი ფაქტიური აღსრულება, ადგილებიდან საქონელბრუნვის, ქსელის და ნაშთების შესახებ საანგარიშო ცნობების თავის დროზე წარდგენის უზრუნველყოფით.

3. მიენიშნოს ამხ. ლაზარევს მის მიერ მე-III კვარტალის გეგმის შეუსრულებლობა; მე-IV კვარტალის ბოლოს მოსმენილ იქნეს ცალკე ამხ. ლაზარევის მოხსენება იმ გარდატეხის შესახებ, რასაც იგი მიაღწევს „ა/კ. ვაჭრობის“ მუშაობაში თვითდამზადების და შესყიდვისა და საქონლის ნაშთების შემცირების ხაზით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—შეამოწმოს ცეკავშირის მუშაობა მე-III კვარტალში საქონელბრუნვისა და საქონლის ნაშთების გეგმის აღსრულების ხაზით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. ოქტომბრის 15.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

189. სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს ხაზით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წლის დეკემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

I. მოისმინა-რა სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ამხ. ჭიჭინაძის მოხსენება—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების შესახებ, რომელი დადგენილებაც ეხება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმავე წლის ოქტომბრის 31-ის დადგენილების რეალიზაციას მრეწველობისა და ელექტრომშენებლობის სფეროში, აგრეთვე მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის ამხ. შახსუვარიანის თანამოხსენება,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ თუმცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველომ ჩაატარა თვალსაჩინო მუშაობა აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად თავის დროზე დირექტივების მიცემის ხაზით, მაინც ყველა მშენებლობაზე დადგენილი ვადები ექსპლოატაციის დაწყებისა ჩაშლილია.

II. ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზად,—გარდა შემოსაზიდი საშენი მასალით (უმთავრესად რკინით და ხე-ტყით) საგრძნობი მოუმარაგებლობის და ამ მასალის არაკომპლექტობისა, მშენებლობის მთელი რიგი ობიექტებისათვის (რიონჰესი, ძორაჰესი, ყარაქლისი, ციანამიდის ქარხანა, ფერომარგან. ქარხანა და სხვ.) გაწყობილობის მიწოდების დაყოვნებისა და აგრეთვე ზოგიერთ მშენებლობაზე მიღებულ სამუშაოთა მოცულობის და დაფინანსების მოცულობის შეუფარდებლობისა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას აგრეთვე მიაჩნია:

1. არასაკმარისი ხელმძღვანელობა და სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ოპერატიული ორგანოების მხრით (სომხეთის გადამცემი ხაზი, ტყვარჩელმშენი, ზაჰესი).

2. ამხ. სტალინის 6 პირობის მეტის-მეტად სუსტი შესრულება (ტყვარჩელმშენი, კანაკირჰესი და ზაჰესი).

3. საშენი მასალის არასაკმარისი რაციონალობით გამოყენება ამ მასალის საერთო ნაკლებობის პირობებში (რიონჰესი, კანაკირჰესი და ზაჰესი).

4. კაპიტალური სამუშაოებისათვის პროექტებისა და ნახაზების არათავის დროზე მიწოდება (ყარაქლისის ქიმ. ქარხანა, აცჰესი).

5. მეტის-მეტად არასაკმარისი მუშაობა მუშებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის სფეროში და აგრეთვე მუშების მომარაგების არასაკმარისად და უხეიროდ მოწყობა მთელ რიგ მშენებლობებზე, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სამუშაოების მუშა-ძალით უზრუნველყოფის საქმეზე.

III. ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ვინაიდან მთელ რიგ საშენებლებს, რომელთა ექსპლოატაციის დაწყებაც ყოვნდება მასალით და გაწყობილობით ცუდად მომარაგების გამო, საერთოსაკავშირო მნიშვნელობა აქვს, ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—განიხილოს ამ საშენებლების მომარაგების საკითხი.

წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—წარმოუდგინოს ორი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში გასაგზავნად, ცნობები ამიერკავკასიის დიდრონი საშენებლებისათვის გაწყობილობისა და მასალის მიწოდების დაყოვნების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და „ზაკენერგო"-ს უფროსს—იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი კაპიტალური სამუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის გასაუმჯობესებლად და ქონებული სამშენებლო გაწყობილობის მაქსიმალურად გამოსაყენებლად, აგრეთვე მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას ამხ. სტალინის 6 პირობის აღსრულების საქმეში და მუშებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის საქმეში.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მიიღოს თავის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მუშათა მომარაგების საქმე ა/კსფსრ მთელ რიგ დიდრონ ასამუშავებელ საშენებლებზე და ყოველთვე, არა უგვიანეს შემდეგი თვის 15-ის რიცხვისა, წარუდგინოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ინფორმაცია ამ საკითხის გამო.

საშენებელთა ნუსხა განსაზღვროს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—წარუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. აპრილის 10-ის დადგენილებაში ჩამოთვლილი ცალკეული საშენებლების სამუშაოთა წარმოებისა და ექსპლოატაციის დაწყების ახალი ვადები.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. ოქტომბრის 15.
ტფილისი.

მთავლიტი № 478. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 675. ტირაჟი 1.400.